სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის
ბრძანება

ქ. თბილისი

MES 5 22 0000839475

25/07/2022

საერთაშორისო კონკურსის ,,წარსული, აწმყო, მომავალი"
საკონკურსო ჟიურის შექმნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის 2022 წლის 21 ივლისის N 684474 ბრძანების შესაბამისად, არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის დეკანის ნინო იმნაძის 2022 წლის 07 ივლისის (N 775359) სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვრძანებ:

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დაარსებიდან 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით, 2022 წლის 27 ივნისს გამოცხადებულ საერთაშორისო კონკურსში სივრცულ კონცეპტუალური კომპოზიცია ,,წარსული, აწმყო, მომავალი" გამარჯვებულის გამოვლენის მიზნით, შეიქმნას საკონკურსო ჟიური შემდეგი შემადგენლობით:

ნინო იმნაძე - არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
ნიკოლოზ შავიშვილი - დიზაინის საერთაშორისო სკოლის დეკანი, პროფესორი;
ნუგზარ ხვედელიანი - ასოცირებული პროფესორი, საქართველოს არქიტექტორთა თავმჯდომარე;

თამარ ჩუბინიძე - ასოცირებული პროფესორი;
ვასილ ქობულია - მოწვეული პროფესორი;
ზაზა სვანაძე - უფროსი მასწავლებელი;
გიორგი გოგავა - არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი;
ნატალია მჭედლიძე - არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი.

2. საკონკურსო ჟიურის დაევალოს კონკურსის მსვლელობისას მიღებული გადაწყვეტილება, მათ შორის, საბოლოო გადაწყვეტილება დააფიქსიროს ოქმის სახით და ოქმის ასლები შესაბამისი მოთხოვნის შემთხვევაში, გადასცეს ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

3. საკონკურსო ჟიური უფლებამოსილია საკითხების დამატებით გარკვევის მიზნით, მოიწვიოს ექსპერტები, რომლებიც არ მონაწილეობენ პროექტის შეფასებაში.

4. საკონკურსო ჟიურის სამუშაო ვადა განისაზღვროს 2022 წლის 26-28 ივლისის ჩათვლით.

5.საკონკურსო ჟიურის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საბოლოო შედეგების თაობაზე, გამოცხადდეს 2022 წლის 28 ივლისს 19:00 სთ-ზე, უნივერსიტეტის პირველ კორპუსში.

6. ბრძანება გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

7. ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისთვის უზრუნველყოს საქმისწარმოების დეპარტამენტმა.

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ,#64).



რექტორი
გურგენიძე დავით